ოქმი № 2

13 აპრილი 2017 წ.

ქ. ზუგდიდი

რეგისტრაციის გავლის მიხედვით სხდომას ესწრებოდა საბჭოს 31 წევრიდან 25 წევრი. სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ლევან შონია** - სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი;
2. **მამუკა კვიტაშვილი** -აბაშის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
3. **პაატა ქურდობანიძე** -აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
4. **გელა ხოშტარია** - აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
5. **ლაშა გოგია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
6. **მაიზერ ნანავა** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
7. **ლაშა ადეიშვილი** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
8. **ალექსანდრე გრიგალავა** - მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
9. **ალექსი გაბისონია** - მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
10. **ვარლამ ქაჯაია** - მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
11. **გოჩა დგებუაძე** - სენაკისმუნიციპალიტეტისგამგებელი;
12. **ჯუმბერ ლაშქარავა** - სენაკისმუნიციპალიტეტისსაკრებულოს თავმჯდომარე;
13. **ბადრი კალანდარიშვილი** -სენაკის მუნიციპალიტეტისსაკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
14. **ბესიკ ესებუა** - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
15. **კობა ჯიქია** - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
16. **ბესიკ ფარცვანია** - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
17. **თემურ ღვინჯილია** - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
18. **გონერ კვარაცხელია** - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
19. **ვარაზ გაბედავა** - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;
20. **ედიშერ ჯობავა** - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
21. **ირაკლი კაკულია** - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი;
22. **ალექსანდრე თოფურია** - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
23. **ირაკლი გოგოხია** - ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი;
24. **ნატალია შეროზია** - ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
25. **გიორგი თოდუა** - ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

სხდომის მუშაობას ესწრებოდნენ:

1. **მაკა ფიფია** - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში (სხდომის მდივანი).
2. **დათო კოდუა** - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის მოადგილე.
3. **ნუგზარ გაბელია** - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსი.
4. **იასონ შეროზია** - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსის მოადგილე.
5. **ირაკლი ცანავა** - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსი სპეციალისტი.
6. **აკაკი სარალიძე** - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის აპარატის უფროსის მოადგილე.
7. **პაატა ლაგვილავა** - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის აპარატის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

სახელმწიფო რწმუნებულმა - გუბერნატორმა სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის

დღის წესრიგი:

2015-2017 წლების სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიაში ცვლილების შეტანის მიზნით კორექტირებული სამოქმედო გეგმის განხილვისა და მოწონების თაობაზე.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები არ გამოთქმულა, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარის ინფორმაცია, რომელმაც განმარტა, რომ რეგიონის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ მომზადებულ იქნა 2015-2017 წლების სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიაში ცვლილების შეტანის მიზნით კორექტირებული სამოქმედო გეგმის პროექტი, რომელსაც განსახილველად წარმოგვიდგენს სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსი ნუგზარ გაბელია.

ნუგზარ გაბელიამ აღნიშნა, რომ სამოქმედო გეგმაში ცვლილების განხორციელება ძირითადად გამოწვეულია მუნიციპალიტეტების მუშაობის პროცესში გამოვლენილი ახალი პრიორიტეტული მიმართულებებით, რამაც გამოიწვია დამტკიცებულ სტრატეგიაში (სამოქმედო გეგმა 2015-2017 წლებისთვის) დამატებით ახალი პროექტების ასახვა და არსებული პროექტების კორექტირება. ასევე აღნიშნა ის ფაქტიც, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მესტიის

მუნიციპალიტეტმა პროგრამის გაუქმების გამო დაწყებული პროექტის დასამთავრებლად მოითხოვა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსების მისაღებად შესაბამისი პროცედურების დაცვით პროექტის ასახვა სტრატეგიაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის მუნიციპალიტეტების საჭიროებებიდან გამომდინარე ნუგზარ გაბელიამ საკონსულტაციო საბჭოს წარუდგინა დარგობრივი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის განახლებული სამოქმედო გეგმის პროექტის ერთიანი ცხრილი (დანართი № 1).

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული განვითარების სტრატეგიის 2015-2017 წლის სამოქმედო გეგმაში 2017 წელს მარტვილის,ზუგდიდისა აბაშის და მესტიის მუნიციპალიტეტების მიერ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელ პროექტებში შესატანია შემდეგი ცვლილებები:

1. **ზუგდიდის მუნიციპალიტეტი:**

ა) ინგირის ადმინისტრაციულ ერთეულში ბარათაშვილის ქუჩაზე გზა არის ავარიულ მდგომარეობაში, მოსახლეობას უჭირს გადაადგილება, როგორც ტრანსპორტით, ასევე ფეხით, რაზედაც გამოთქვამენ სამართლიან უკმაყოფილებას და ითხოვენ გზის რეაბილიტაციას. აღნიშნული გზა წარმოადგენს რკინიგზის სადგურთან დამაკავშირებელ ერთადერთ გზას.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და საექსპერტო მომსახურება, მომზადდა 2015 წელს. პროექტი შეტანილი იყო 2015–2017 წლების სამოქმედო გეგმაში, თუმცა სხვადასხვა მიზეზების გამო, გზა დღემდე ვერ იქნა რეაბილიტირებული. ასევე არსებობს დასახლების საერთო კრების ოქმი და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოწონება. პროექტის ღირებულება საპროექტო - სახარჯთააღრიცხვო დოკუმენტაციის მიხედვით შეადგენს **169 713** ლარს.

მოსახლეობის ინტერესებიდან და შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, ზემოაღნიშნული პროექტი „ინგირის ადმინისტრაციულ ერთეულში ბარათაშვილის ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია“ შეტანილ იქნეს 2017 წლის სამოქმედო გეგმაში.

ბ) აბასთუმნის ადმინისტრაციულ ერთეულში საავტომობილო გზაზე საჭიროა სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების მეორე ეტაპის სამუშაოების თანხის კორექტირება სამოქმედო გეგმაში. აღნიშნული გზა სოფელს ზუგდიდის ცენტრთან აერთიანებს. პირველი ეტაპის სამუშაოები უკვე დასრულებულია 399 999 ლარის მოცულობით. მეორე ეტაპზე სარეაბილიტაციო გზის სიგრძე შეადგენს 2000 მეტრს, რომლის ღირებულება შეადგენს **1 100 000** ლარს. აბასთუმნის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა შაედგენს 1364 ადამიანს. აღნიშნულ პროექტზე არსებობს საკრებულოს მოწონება. აბასთუმანის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის

ერთიანი მოთხოვნის საუძველზე წარმოდგენილია პროექტი, რომლის შესრულებით გადაწვეტილი იქნება სოფელში 2000 გრ/მ სიგრძისა და 5 მ სიგანის მქონე გზის რეაბილიტაციის საკითხი.

2. აბაშის მუნიციპალიტეტი:

ა) „აბაშის მუნიციპალიტეტში სოფ. მარანის ცენტრიდან სოფ. თხმელარის მიმართულებით გზის ასფალტო-ბეტონის საფარით მოწყობის" საკითხი მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრებზე დღის წესრიგში ყოველთვის იდგა, რაც შესაბამისად აღნიშნულია მოსახლეობასთან შეხვედრის ოქმებში და დასტურდება ხელმოწერებით. აღნიშნული გზით სოფ. მარანი და სოფ. თხმელარი უკავშირდება, როგორც ცენტრალურ მაგისტრალს და შემდეგ მუნიციპალიტეტის ცენტრს, ასევე მეზობელ მუნიციალიტეტში (სამტრედია) მდებარე ყოველდღიურ საკოლმეურნეო ბაზარს.

საქართველოს მთავრობა მზადაა რ.გ.ფ - ის დაფინასების ფარგლებში, განიხილოს „აბაშის მუნიციპალიტეტში სოფ. მარნის ცენტრიდან სოფ. თხმელარის მიმართულებით გზის ასფალტო-ბეტონის საფარით მოწყობის" პროექტი - ღირებულებით **396 546** ლარის ოდენობით.

გამომდინარე აქედან მიზანშეწონილია სამოქმედო გეგმით განსახორციელებელი პროექტების ნუსხას დაემატოს ზემოაღნიშნული პროექტი.

ბ) ასევე, სამოქმედო გეგმის „სხვა პროექტების" განყოფილებაში დამატებულ იქნეს ორი გზა, კერძოდ:

ბ.ა) „აბაშის მუნიციპალიტეტში სოფ. ზანათში მდ.აბაშის ხიდიდან სოფ. ნოსირის საზღვრამდე გზის ასფალტო-ბეტონით მოწყობა" - ღირებულებით **380 930** ლარის ოდენობით.

ბ.ბ) „აბაშის მუნიციპალიტეტში სოფ. თხმელარის მაღაზიიდან საძოვრების მიმართულებით გზის ასფალტო-ბეტონით მოწყობა" - ღირებულებით **403 101** ლარის ოდენობით.

აღნიშნულ 2 პროექტზეც არსებობს მოსახლეობასთან შეხვედრის ოქმები და აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი მოწონებები.

3. მესტიის მუნიციპალიტეტი:

მესტიის მუნიციპალიტეტის 2015-2017 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით, გათვალისწინებული იყო ექვსი საბავშვო ბაღის მშენებელობა, ღირებულებით - 2 115 697 ლარი. აღნიშნული პროექტები წარდგენილ იქნა სამთავრობო კომისიის სხდომაზე, საიდანაც დაფინანსდა სამი საბავშვო ბაღის (ეცერი, იდლიანი, ხაიში) მშენებლობის სამუშაოები, დარჩენილი სამი საბავშვო ბაღის მშენებლობისათვის თანხის გამოყოფის საკითხი კომისიის მიერ არ დაკმაყოფილდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდეს 2016 წლის სოფლის

მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში დაწყებული პროექტები, საერთო ღირებულებით **908 923** ლარი, კერძოდ:

ა) მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ იელიში და მურშკელში მრავალფუნქციური შენობების მშენებლობა განპირობებულია ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებიდან გამომდინარე.

პროექტის განხორციელება და შემდგომ განვითარება მნიშვნელოვნად შეცვლის სოფლებს განვითარების მხრივ. სოფელ იელის მოსახლეობას საშუალება ექნება ისარგებლოს ბიბლიოთეკით, მიიღონ პირველადი სამედიცინო დახმარება ამბულატორიაში სოფლის ექიმის დახმარებით და ასევე სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის იქნება ჯგუფის ოთახი. მულახის თემის სოფელ მურშკელში, ასევე იქნება სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის ჯგუფის ოთახი და ბიბლიოთეკა.

სოფელ იელისა და მურშკელის მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 128 ადამიანს, რომელთა 60% შეიძლება ჩაითავლოს პირდაპირ ბენეფიციარად.

სოფელ იელში - პროექტის განხორციელების შედეგად აშენდება მრავალფუნქციური შენობა, ზომებით 10X12, ორ სართულიანი, პირველ სართულზე განთავსდება საბავშვო ბაღის ჯგუფის ოთახი და საძინებელი, სააქტო დარბაზი და სან. კვანძი. მეორე სართულზე განთავსდება ბიბლიოთეკა, სოფლის წარმომადგენლის კაბინეტი და ამბულატორია. მრავალფუნქციური შენობის მშენებლობის მიზანია საზოგადოებრივი მომსახურებების ხელშეწობა და ხელმისაწვდომობის გაზრდა მოსახლეობისათვის.

სოფელ მურშკელში - პროექტის განხორციელების შედეგად აშენდება საერთო სარგებლობის შენობა, ზომებით 10X10, ერთ სართულიანი, სადაც განთავსდება ბიბლიოთეკა, ჯგუფის ოთახი და ერთი კაბინეტი. მოეწყობა სან. კვანძი. მრავალფუნქციური შენობის მშენებლობის მიზანია საზოგადოებრივი მომსახურებების ხელშეწობა და სხვადასხვა მომსახურებების ხელმისაწვდომობის გაზრდა მოსახლეობისათვის.

აღნიშნული პროექტების პირველი ეტაპის სამუშაოები დაფინანსდა 2016 წლის სოფლის პროგრამის ფარგლებში.

სოფელ იელისა და მურშკელის მრავალფუნქიური შენობების ოპერირების ხარჯს უზრუნველყოფს მესტიის მუნიციპალიტეტი საკუთარი შემოსავლებით. პროექტის საერთო ღირებულება შეადგენს 208 345 ლარს.

ბ) სოფელ ხაიშში - პროექტის განხორციელების შედეგად აშენდება სპორტული დარბაზი, ზომებით 20 X12, ორსართულიანი, სადაც განთავსდება დარბაზი სხვადასხვა სპორტული აქტივობებისთვის, გასახდელები, სან.კვანძები, სამაყურებლო აივანი, ადმინისტრაციის ოთახი.

გ) სოფელ ნაკრაში პროექტის განხორციელების შედეგად აშენდება სორტული დარბაზი, ზომებით 24 X21, ორსართულიანი, სადაც განთავსდება დარბაზი სხვადასხვა სპორტული აქტივობებისთვის, გასახდელები, სან. კვანძები, სამაყურებლო აივანი, ადმინისტრაციის ოთახი და სამედიცინო პუნქტის ოთახი.

დ) სოფელ ფარში - პროექტის განხორციელების შედეგად აშენდება სორტული დარბაზი, ზომებით 20X10, ორსართულიანი, სადაც განთავსდება დარბაზი სხვადასხვა სპორტული აქტივობებისთვის, გასახდელები, სან. კვანძები, სამაყურებლო აივანი, ადმინისტრაციის ოთახი და სპორტული ნივთების შესანახი სათავსო.

ე) სოფელ ლენჯერში - პროექტის განხორციელების შედეგად აშენდება სორტული დარბაზი, ზომებით 13X20, ორსართულიანი, სადაც განთავსდება დარბაზი სხვადასხვა სპორტული აქტივობებისთვის, გასახდელები, სან.კვანძები, სამაყურებლო აივანი, ადმინისტრაციის ოთახი,სპორტული ნივთების შესანახი სათავსო და გამგებლის წარმომადგენილათვის ოთახი. პროექტების საერთო ღირებულება შეადგენს 700 578 ლარს.

აღნიშნულ პროექტებზე არსებობს მოსახლეობასთან შეხვედრის ოქმები და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოწონება.

4. **მარტვილის მუნიციპალიტეტი:**

ქ. მარტვილის ნახარებაოს უბნისა და სოფ. სერგიეთის დამაკავშირებელი გზის ა/ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები ასახული იყო 2016 წლის სამოქმედო გეგმაში, თუმცა ფინანსური რესურსის არქონის გამო ვერ მოხერდხა ამ პროექტის განხორციელება. მუნიციპალიტეტის ითხოვს ამ პროექტის ასახვას 2017 წლის სამოქმედო გეგმაში.

რეაბილიტირებული და კეთილმოწყობილი იქნება 1.86 კმ გზის სავალი ნაწილი, დამხმარე კომუნიკაციები, სანიაღვრე არხები გზის მთლიან მონაკვეთზე. გზის მოცულობა შეადგენს 10734 კვ/მ-ს ერთეულის სავარაუდო ღირებულება 67 ლარს. პროექტის ღირებულება შეადგენს 719 000 ლარს.

აზრი გამოთქვა: სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარემ და აღნიშნა, რომ დაგეგმილი და მიმდინარე პროექტების განხორციელება მეტად მნიშვნელოვანია რეგიონის განვითარებისათვის და მოსახლეობის სოც-ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს განიხილონ წარმოდგენილი პროექტი და გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები.

საბჭოს წევრების მიერ განხილულ იქნა პროექტი და შენიშვნები არ გამოთქმულა.

საბჭომ იმსჯელა და გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის 2015-2017 წლების განახლებული სამოქმედო გეგმა (თან ერთვის ელ.ვერსია CD დისკი სახით).
2. 2015-2017 წლების სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმა განსახილველად წარედგინოს საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიას.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შედეგად სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გამოაცხადა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე /ლ. შონია/

სხდომის მდივანი /მ. ფიფია/